

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №875

2005 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ“ თანდართული ინსტრუქცია.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 24 ივლისის ბრძანება №911- სსმ III, №103, 04.08.2006 წ.,მუხ.1396
2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №1365- სსმ III, №161, 30.11.2006 წ.,მუხ.2201
3. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ.,მუხ.774

ინსტრუქცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების (შემდგომში – საუბნო სამსახურები) საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, ამოცანებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

მუხლი 2.

1. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საუბნო სამსახურები – სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურული ქვედანაყოფები;
- ბ) უბნის ინსპექტორი (ინსპექტორები) – საუბნო სამსახურების მოსამსახურე (მოსამსახურეები);
- გ) პატრულირება – საუბნო სამსახურების მიერ განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულებში

სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელება, გარდა სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო, მართვის მოწმობის გაცემის და სანებართვო საქმიანობისა;

დ) უბნის პასპორტი – დადგენილი ნიმუშის დოკუმენტი, რომელშიც თავს იყრის უბნის დემოგრაფიული და სხვა სახის მონაცემები, რომელსაც აწარმოებს უბნის ინსპექტორი (ინსპექტორები).

2. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რა მნიშვნელობითაც ისინი გამოიყენებიან მოქმედ კანონმდებლობაში.

მუხლი 3.

საუბნო სამსახურების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები, სხვა სახის სამართლებრივი აქტები.

თავი II. საუბნო სამსახურების ამოცანები და საქმიანობის პრინციპები

მუხლი 4.

საუბნო სამსახურის ამოცანებია:

ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების მოხმარების აღკვეთა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა;

გ) უკანონო გარე ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ.774

მუხლი 5.

საუბნო სამსახურების საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვა, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის და საქვეყნოების უზრუნველყოფა;

ბ) პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

მუხლი 6.

უბნის ინსპექტორი ანგარიშვალდებულია უშუალო უფროსის, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოში შემავალი რაიონული განყოფილების უფროსისა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფროსის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №1365- სსმ III, №161, 30.11.2006 წ., მუხ.2201

თავი III. საუბნო სამსახურების საქმიანობის საგანი

მუხლი 7.

1. საუბნო სამსახურების სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ოპერატიული ვითარების, მოსახლეობის შემადგენლობის და სხვა

თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უზნის ინსპექტორები ვალდებულნი არიან ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით აწარმოონ უზნის პასპორტები (დანართი №1).

3. უზნის პასპორტში შეტანილ უნდა იქნეს სამოქმედო ტერიტორიის შესაბამისად დემოგრაფიული და სხვა სახის მონაცემები, რომლებსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

4. უზნის პასპორტში შეიტანება ასევე მონაცემები იმ პირების შესახებ, რომლებიც შემჩნეული არიან საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატიურ დარღვევებში, რომლებიც ამზადებენ, სჩადიან ან რომელთაც ჩადენილი აქვთ დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ან რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები.

მუხლი 8.

1. უზნის ინსპექტორი სამოქმედო ტერიტორიაზე სამსახურის დამთავრების შემდგომ, შემცვლელი უზნის ინსპექტორის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების დაწყებამდე, უშუალო უფროსს აცნობებს სამოქმედო ტერიტორიაზე გაწეული მუშაობისა და შედეგების შესახებ.

2. სამოქმედო ტერიტორიაზე სამსახურის დამთავრების შემდგომ უზნის პასპორტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 9.

საუბნო სამსახურის უფროსი ან მისი მოადგილე პირადად აცნობს სამსახურში ახლად მიღებულ მოსამსახურეს სამოქმედო ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების თავისებურებებს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განთავსების ადგილებს, აგრეთვე სხვა გარემოებებს.

მუხლი 10.

1. სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისას უზნის ინსპექტორი მოვალეა:

ა) შეისწავლოს სამოქმედო ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება მართლწესრიგის განტკიცების, მოქალაქეთა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის თვალსაზრისით;

ბ) ოპერატიულად ფლობდეს ინფორმაციას სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ იმ პირთა შესახებ, რომლებიც ამზადებენ, სჩადიან ან ჩადენილი აქვთ დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

გ) სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას სამოქმედო ტერიტორიაზე ტრანზიტული და ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის თავისებურებებისა და სისტემების შესახებ;

დ) სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას მოქალაქეთა მასობრივი დასვენების, რელიგიური და სხვა წეს-ჩვეულებების ჩატარების ადგილებისა და საზოგადოებრივი შეკრების სხვა ადგილების შესახებ;

ე) ოპერატიულად ფლობდეს ინფორმაციას ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეების უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ადგილების შესახებ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს და გაატაროს საქართველოს კანონ-მდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ვ) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას სამოქმედო ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრების, მატერიალურ ფასეულობათა შენახვის ადგილების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სალაროების დისლოკაციის, მათი ტექნიკური გამაგრებისა და დაცვის სისტემების შესახებ, რის თაობაზეც მონაცემები შეაქვს უზნის პასპორტში;

ზ) სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მონაწილე ძალებისა და საშუალებების, მათი დისლოკაციის ადგილების შესახებ;

თ) ითანამშრომლოს პოლიციის სხვა დანაყოფებთან, მონაწილეობა მიიღოს მათთან ერთად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებაში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში

მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევების, ბავშვთა მაწანწალობის, ძებნაში მყოფი პირებისა და სხვა სამართალდამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით;

ი) მოპარული ნივთებისა და მათი გასაღების სავარაუდო ადგილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს, ამასთან გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

კ) დაუყოვნებლივ მოახსენოს თავის უშუალო ხელმძღვანელს სამოქმედო ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების შესახებ;

ლ) აღკვეთოს საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფ სამართალდარღვევათა ფაქტები;

ლ¹) გამოავლინოს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მათი აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებით და წესით;

მ) ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები კანონმდებლობით დადგენილი წესით წარადგინოს სამინისტროს შესაბამის დაწესებულებაში;

ნ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაეხმაროს სახანძრო სამსახურებს ხანძრის ლიკვიდაციაში და დახმარება გაუწიოს დაზარალებულებს;

ო) მოქალაქეთა მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების შემთხვევაში მოუწოდოს მოქალაქეს დაიცვას კანონიერება, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

პ) დაეხმაროს მოქალაქეებს სტიქიური უბედურების დროს (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, თოვლის ზვავები და სხვა) და ორგანიზება გაუწიოს ადამიანის გადარჩენის ღონისძიებებს, დაიცვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება, ხელი შეუწყოს თანამდებობის პირებს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის მობილიზაციაში;

ჟ) ადამიანთა სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში მოახდინოს მოსახლეობის გაყვანა უსაფრთხო ადგილზე, შეწყვიტოს ამ ზონაში ყოველგვარი მოძრაობა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამსახურის მორიგეს;

რ) დაეხმაროს შესაბამის სამსახურებს იმ პირთა ადგილსამყოფელის დადგენაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სამსახურში გაწვევას;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს შესაბამის სამსახურებს ეპიდემიების დროს საკარანტინო ღონისძიებების მოწყობაში, აგრეთვე ეპიზოოტიების დროს საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს შესაბამის სამსახურებს გარემოს დაცვის ღონისძიებებთან განხორციელებაში.

2. (ამოღებულია).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ.774

მუხლი 11.

1. უბნის ინსპექტორი სამსახურს უნდა ასრულებდეს დადგენილი ფორმის ტანსაცმლით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის მას თან უნდა ჰქონდეს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი.

2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების, გამოყენების, შენახვისა და ჩაბარების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12.

უბნის ინსპექტორი ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით:

ა) განსაზღვრავს სპირტიანი სასმელების მომხმარებლის ნიადაგზე მომხდარი სამართალდარღვევების გავლენას სამოქმედო ტერიტორიის ოპერატიულ ვითარებაზე, ამასთან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით აღკვეთს საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი

სასმელების სმას ან ასეთ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტებს, სამართალდამრღვევთა მიმართ ატარებს პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებებს;

ბ) სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახორციელებს ანტიალკოჰოლურ პროპაგანდას არასრულწლოვნებში სპირტიანი სასმელების მოხმარების აღსაკვეთად;

გ) ალკოჰოლიზმში შემჩნეულ პირებთან ეწევა პროფილაქტიკურ მუშაობას, რა დროსაც იგი ვალდებულია:

გ.ა) დადგენილი წესით აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს იმ პირის შესახებ, რომელიც სისტემატურად ლოთობს;

გ.ბ) (ამოღებულია);

დ) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ ოჯახებს სადაც ცხოვრობენ ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებული პირები და ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ. 774

მუხლი 13.

1. უზნის ინსპექტორი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე ავლენს იმ პირებს, რომლებიც შემჩნეული არიან ნარკოტიკულ ნივთიერებების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაში;

ბ) ავლენს ტოქსიკომანებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებენ ფსიქოტროპულ ან სხვა ტოქსიკურ საშუალებებს;

გ) ავლენს იმ პირებს, რომლებიც ითრევენ არასრულწლოვნებს ნარკოტიკული ნივთიერებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და ტოქსიკური საშუალებების მოხმარებაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უზნის ინსპექტორი მოვალეა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს და მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ. 774

მუხლი 14.

1. უზნის ინსპექტორი ავლენს იმ პირებს, რომლებიც ეწევიან პროსტიტუციას, შუამავლობას პროსტიტუციაში, პროსტიტუციისათვის გადაცემული აქვთ ადგილი ან საცხოვრებელი, პროსტიტუციაში ითრევენ არასრულწლოვნებს ან სჩადიან სხვა ამგვარ ქმედებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უზნის ინსპექტორი მოვალეა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს და მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ. 774

მუხლი 15.

უზნის ინსპექტორი ოჯახური კონფლიქტების სფეროში:

ა) ავლენს და აღრიცხავს უზნის პასპორტში იმ პირებს, რომლებიც სჩადიან სამართალდარღვევებს საოჯახო სფეროში;

ბ) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახურ კონფლიქტებს, რომელთა შედეგად ზარალდებიან ბავშვები;

გ) ოჯახური და მეზობლური კონფლიქტის გამოვლენის შემდეგ სწავლობს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობს ამ მიზეზების აღმოფხვრის საკითხებზე;

დ) განუმარტავს მოქალაქეებს, მათ შორის წარმოშობილი დავა გადაწყვიტონ მორიგებით ან სასამართლო ორგანოების მეშვეობით. ოჯახური და მეზობლური დავების მოსაგვარებლად ატარებს პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებებს, რასაც პატაკის სახით აცნობებს მის უშუალო უფროსს და შემდგომში _ მოქმედებს მისი მითითებით;

ე) ავლენს და უზნის პასპორტში აღრიცხავს არასრულწლოვნებს, რომლებიც სისტემატურად არიან

შემჩნეულნი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, აგრეთვე მშობლებს (მეურვეებს), რომლებიც კეთილსინდისიერად არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 16.

უბნის ინსპექტორი ნასამართლევ პირებთან მუშაობის მიზნით:

- ა) ავლენს და უბნის პასპორტში აღრიცხავს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შეზღუდვების შესრულებას, რომლებიც დაწესებული აქვთ:
 - ბ.ა) თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს;
 - ბ.ბ) თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლებულ პირებს;
 - ბ.გ) პირებს, რომლებიც სასჯელის მოხდისგან პირობით არიან გათავისუფლებული;
 - ბ.დ) პირებს, რომელთაც გადაედოთ განაჩენის აღსრულება;
- გ) უბნის პასპორტში შეაქვს მონაცემები მრავალგზის ნასამართლევ პირების შესახებ.

მუხლი 17.

უბნის ინსპექტორი:

- ა) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების მიღებასა და რეგისტრაციას;
- ბ) შემოსული წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას განსაზღვრავს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც საჭიროებს შემოწმებას, იმ პირთა წრეს, რომელთაგან საჭიროა მიღებულ იქნეს ინფორმაცია და მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად;
- გ) ანალიზებს მიღებული საჩივარგანცხადებების განმეორებით შემოსვლის მიზეზებს. ანალიზის შედეგებს მოახსენებს თავის უშუალო უფროსს;
- დ) შემოსულ წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს იხილავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით;
- ე) (ამოღებულია).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ. 774

მუხლი 18.

უბნის ინსპექტორი წინასწარი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის, მიმალვაში მყოფ დამნაშავეთა და სხვა ძებნილ პირთა დადგენა-დაკავების მიზნით:

- ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს;
- ბ) ამოწმებს ინფორმაციას ძებნილ პირებზე და მათთან დაკავშირებული პირებისა და სხვა წყაროების საშუალებით ადგენს ძებნისათვის მნიშვნელობის მქონე დამატებით ცნობებს.

მუხლი 19.

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის დადგენილი წესების, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისა და ქვეყანაში უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლა-გასვლის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით უბნის ინსპექტორი ზედამხედველობას უწევს სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა მიერ რეგისტრაციის დადგენილი წესების დაცვას.

მუხლი 20.

უბნის ინსპექტორი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში აკონტროლებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე იარაღის შექმნის, შენახვის, ტარების, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნის, რეგისტრაციის დადგენილი წესების დაცვას.

მუხლი 21.

უზნის ინსპექტორს დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად უფლება აქვს:

- ა) მოსთხოვოს მოქალაქეს დაიცვას მართლწესრიგი, განუმარტოს მათი მოქმედების არაკანონიერება, ხოლო ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;
- ბ) შეამოწმოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთები, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შესახებ;
- გ) დროებით შეზღუდოს ან აკრძალოს გარკვეულ ადგილზე და ობიექტზე მოქალაქეთა შესაძლო გადაადგილება ან თავშეყრა, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ცალკეული საგამომიებო მოქმედებების ჩასატარებლად;
- დ) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და ჩაატაროს საგამომიებო მოქმედებები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის ბრძანება №702- სსმ III, №71, 21.05.2007 წ., მუხ.774

მუხლი 22.

1. იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიები, საუზნო სამსახურები ვალდებულნი არიან განახორციელონ პატრულირება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში.

2. ამ მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიებზე დადგენილი წესით უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ვიზუალური დათვალიერება და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №401 ბრძანების 23-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დათვალიერების აქტის შედგენა/გაცემა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 24 ივლისის ბრძანება №911- სსმ III, №103, 04.08.2006 წ., მუხ.1396

მუხლი 23.

ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულის გარდა, უზნის ინსპექტორის სხვა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

თავი IV. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები

მუხლი 24.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უზნის ინსპექტორის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები განისაზღვრება “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი V. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 25.

ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უბნის პასპორტი

სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დემოგრაფიული მონაცემები: სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი	მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც შემჩნეულნი არიან საზოგადოებრივი წესრიგის სისტემა-ტურ დარღვევაში	მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც ამზადებენ, სჩადიან ან ჩადენილი აქვთ დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება	მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები	მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც სჩადიან სამართალ-დარღვევებს საოჯახო სფეროში	მონაცემები იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებიც სისტემატურად არიან შემჩნეულნი დანაშაულის ჩადენაში	მონაცემები იმ მშობლების შესახებ, რომლებიც კეთილსინდისიერად არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს	მონაცემები სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი მრავალგზის ნასამართლეთა პირების შესახებ	ინფორმაცია სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შესახებ (სავაჭრო ცენტრები, მატერიალურ ფასეულობათა შენახვის ადგილები, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სალაროების დისლოკაციის ადგილები, მათი ტექნიკური გამაგრების და დაცვის სისტემები)	მონაცემები სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი არასრულწლოვანი მაწანწალების შესახებ	მონაცემები სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი უცხოელ მოქალაქეთა შესახებ	სამსახურის დამთავრებისას ინფორმაცია სამოქმედო ტერიტორიაზე გაწეული მუშაობისა და შედეგების შესახებ
---	---	--	--	---	---	--	--	---	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--